№ 233 ნოემბერი 2, პარასკევი 1890 ნოემბერი 2, პარასკევი № 233

# ივერია

1877—1890 სალიტერატურო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

გაზეთის ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას გუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

## Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

## „დასავლეთი“

ახალი რესტორანი, ვერაზე, მებურნუთოვის სახლებში, ფოსტის სადგომის გვერდით.

რესტორანის სადგომი ახლად შეკეთებულია და თბილი. საჭმელები ევროპიული და ჩვენებური; საუკეთესო ბუფეტია. სასმელები ევროპიული და ჩვენებური.

სადილები დღიურად და თვიურად შეიძლება თვითონ რესტორანში მიიღონ ან ბინაზე, შინ სახლში, წაიღონ. რესტორანში ცალკე ოთახებიცაა, მშვენიერად მორთული და მოწყობილი.

ფასები ყველაფრისა იაფია.

თავმდები ვართ, რომ ხორაგეული სუფთაა და ბუფეტი უნაკლულო.

ნ. ჩიკვაიძე და
ს. მელიქგაური

(40—2)

## დ. ი. კეზელი

აწარმოებს სისხლის სამართლის და გამიჯვნის საქმეებს (Уголовныя и межевыя дѣла.) ვერა, აგურის ქუჩა, განჯუმოვის სახლი. (20—19)

## ქართული თეატრი

კვირას, 4 ნოემბერს

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

## ხათაბალა

კომედ. 4 მოქ. გ. ნ. სუნდუკიანცისა.

დასასრულ

## ლეკური

მოთამაშენი: ქქ-ნი საფაროვისა, ჩერქეზიშვილისა, ტარიელოვისა, ტატიშვილისა: ბ-ნნი აბაშიძე, გედევანოვი, შათიროვი, თამაზიშვილი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

ტფილისი, 1 ნოემბერი

გაგონილა იმისთანა ამბები, რაც ქუთაისის ბანკის კრებაზე ისმის სიტყვით, თუ ბეჭდვითა? მშვიდობიანობისა და წესიერების დასაცველად იძულებულნი გამხდარან გარედამ ყაზახები და პოლიციელები დაეყენებინათ და შიგნით ისეთი აურიაქოთი და არეულობა მოუხდენიათ, რომ კრებისა და საკუთარის თავის ღირსების პატივის-მცემელთ საჭიროდ დაუნახავთ გარს შემორტყმოდნენ ბ-ნს თავმჯდომარეს კრებისას, გუბერნიის მარშალს თ. წერეთელს, რომ მის ხელ-შეუხებელ და საპატიო ღირსებას არა-ვითარი უკადრისობა არ ეკადრებინათ. სახელი და მადლობა მათ, ვინც ასეთი გულ-მტკივნეულობა და მართებულობა გამოიჩინეს მესახებ გუბერნიის მარშლისა და სირცხვილი და ძაგება მათ, ვინც ბ-ნს თავმჯდომარეს კრებისას საამისოდ გაუხადეს საქმე. ამ უკანასკნელთა ქცევას რა სახელი დაერქვას, არ ვიცით. კაცი უყურებს ყოველს ამას და ჰკვირობს,—ეს სადა ვართ? რა საზოგადოებაა ის კრება, საცა შესაძლოა ამისთანა ამბების მოხდენა?

შეურიდან საქმეთა გასარჩევად, მართალის გამოსარკვევად და არარა წესს და რიგს-კი არ დაგიდევენ: არც პატივის-ცემა თვითონ კრებისა, არც თავმჯდომარისა, არც თვითვეულ ცალკე წევრისა, არც კანონისა, არც მართებულობისა და რიგიანობისა, არც თავის თავისა—ყველაფერი დავიწყებულია, ყველაფერი უარ-ყოფილია და მარტო ჭკვარტალ-მოკიდებული გული თვით-ნებობისა, ძალ-მომრეობისა ჰფადადებს და ამღვრეულს საქმეს უფრო ამღვრევს, ჰრყვნის და აწბილებს. აუშვია ადვილი პირ-[illegible] არ აძლევს სთქვას რამე, თვითონ-კი ჰყვირის და ჰღრიალებს, „არ გვინდა, არ შეიძლება, ეხლავ კენჭი“ თითქო საგიჟეთიდამ ეს-ეს არის ეხლა გამოვარდნილა მარტო იმისათვის, რომ იყვიროს და იღრიალოს უთავბოლოდ. ვის სასარგებლოდაც ეს თავზე ხელ-აღებულობა დღეს ქუთაისის ბანკის კრებაში ასე გადნიერად და მოურიდებლად იბრძვის, იმას კარგი წამალი სცოდნია, რომ ზოგიერთთა მჭვარტლიანს გულში ასეთი ცეცხლი აუნთია ყოველ სამარცხვინო გრძნობის ასაფეთქად და საფარფაშოდ. ნუ თუ ამ გზით გამარჯვება გამარჯვებაა და არა სამარცხვინო ბოძზე გაკვრაა გამარჯვებულისა!

რას ჰფიქრობს ქუთაისის ბანკის საზოგადოება? რატომ არ იძიებს, რატომ არ იკითხავს, ვინ არის მიზეზი ამისთანა სათაკილო ამბებისა? განხეთქილება და დასთა ბრძოლა ამისებრ საქმეებში ყოველთვის არის და ყოფილა, ხოლო საქმის იქამდე მიყვანა, რომ საჭიროდ დანახულია გარს ყარაულები და პოლიციელები სიფთხილისათვის შემორტყმოდეს, არასოდეს არ ყოფილა და დღეს რად მოჰხდა ეს და ვინ არის მიზეზი ამისთანა წინდახედულ გაფრთხილების მოვლენისა? განა მარტო ამ მიზეზის გამოწვევა საკმაო საბუთი არ არის, რომ მისი მომავლინებელი სამარცხვინო ბოძზე გააკრას კაცმა და სამართლიანის გულის წყრომით უთხრას: „შორს ჩვენგან! შენ არა ხარ ხორცი ხორცისა ჩვენისა და ძვალი ძვალისა ჩვენისა. შენ ჰღალატობ საზოგადო საქმეს, შენ ჰგმობ და აუპატიურებ ჩვენს ღირსებას, ჩვენს პატიოსნებას, გვარცხვენ შინაც და გარედაც და ერთად-[illegible] ხრი, პირქვე ამხობ და ჩვენვე გვწყრთნი ცდუნებით და მოტყუებით ჩვენისავე ხელით ყელი გამოვიჭრათ. შორს, შორს ჩვენგან“!

ვინც ამ გაჭირებულს დღეს ამას არ იზამს, ვინც ამას არ ეტყვის დამნაშავეს და მით მამულიშვილურ ვაჟკაცობას არ გამოიჩენს, მან გასცეს პასუხი ქვეყანას, მომავალს, თავის თავს, თავის სახლობას და თავის ცოლშვილსა.

## ახალი ამბავი

*** ეს-ეს არის ეხლა მივიღეთ მეექვსე და უკანასკნელი წიგნი ამ წლის „ჯეჯილისა“. ეს წიგნიც, როგორც სხვა წინანდელი, საკმაოდ მრავალგვარის შინაარსისაა, ჩვეულებრივ სუფთად დაბეჭდილი და სურათებით შემკული. წიგნში მოთავსებულია ჩვიდმეტი სხვა-და-სხვა საყმაწვილო ლექსი, მოთხრობა, ამბავი და პატარ-პატარა საკითხავი წერილები. დიდად სასიამოვნოა, რომ რედაქცია ჯეჯილისა ასე გულ-დადებით ეკიდება თავისს საქმესა და მუდამ ვადაზე ჰბეჭდავს წიგნებს.

*** მათი უმაღლესობა პრინცი ლიუდოვიკ ნაპოლეონი და პრინცი აშილ მიურატი გუშინ-წინ, ოქტომბრის 31, სანადიროდ იყვნენ სოფ. მუხრანში და იმავე დღეს დაბრუნდნენ ტფილისს.

*** ამბობენ, რომ ამიერ კავკასიის რკინის გზაზე, სახელმწიფო რკინის გზების უმთავრესის მმართველობის დეპეშისამებრ, უნდათ შეამცირონ შტატი მოსამსახურეთაო. აპირობენ შვიდის სადგურის უფროსი და თოთხმეტამდე მათი თანაშემწე, უფროსი ტელეგრაფისტები და სხვა მოხელენი დაითხოვონ სამსახურიდამაო.

*** [illegible] სწერდნენ იმ უმაღლესის ბრძანების შესახებ, რომლის ძალითაც ტფილისის ქალაქის გამგეობას უნდა მიეცა ტფილისის ტელეგრაფისტებისთვის რამდენისამე წლით მოსპობილი სახლის ქირა 10,791 მან. და 41 კაპ. ქალაქის გამგეობამ არ მისცა ტელეგრაფისტებს სახლის ქირის ფული და გამოუცხადა ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსს, რომ ეგ ფული ტფილისის საგუბერნიო მმართველობიდგან უნდა მიიღოთო, რადგანაც იმას ქალაქის გამგეობისა 18 ათასი მანეთი ჰმართებსო (?). ამის შესახებ საჩივარი ხელ-ახლად პეტერბურგში გაიგზავნა.

## ფელეტონი

### ასის წლის წინად

#### II*)

არსენალის ბაღები ტიულერი და პალეროიალი ზამთარში საუცხოვო სანახავია. მაგრამ მოახლოვდა ზაფხული. ეს ის დროა, როცა ყველა პარიჟელი გაურბის დიდს ქალაქს... გადის სოფლად, რომ მინდვრად ხის ჩრდილს ქვეშ თავისუფლად წამოწვეს და წმინდა ჰაერს ხარბად დაეწაფოს.

— ხვალ სად წავიდეთ, ჩემო შვილო! ეკითხება გაზაფხულის მოახლოვებით ნასიამოვნები მამა შაბათ საღამოს. წინად ქრისტეფორე ესევე დაეკითხებოდა ხოლმე თავის ცოლს. მაგრამ დრო გავიდა, ქმრობას მამობრიულმა გრძნობამ გადააჭარბა. ფილიპა როგორღაც დაფიქრდა. თითქო პასუხს ველარ ახერხებდა. რა მოუვიდა ფილიპას, იმ ფილიპას, რომელიც წინად ამ დროს უკითხველადვე დაუსახელებდა ხოლმე მამას სასეირნოდ ამორჩეულს ადგილებს?.. ეხლა კი გულგრილად უპასუხა მამას, სადაც გესიამოვნებაო...

— მუსოში წავიდეთ?

— ჩვენ მგონი იქ ათჯერ ვყოფილვართ.

— მაშ რუელში წავიდეთ... იქ გულ-გასართობი ბევრი რამ არის. გახსოვს მუშკატერი გამელელ-გამომვლელს წყალს რომ ასხავს?

— როგორ არ მახსოვს. ახალთახალი ტანისამოსი რომ გამიფუჭეს... ასეთი დროს გატარება არაფერი სასიამოვნოა.

— მაშ სენ-კლიუში წავიდეთ... დიდ შადრევნებს აუშვებენ... იქვე მახლობლად „პარკში“ შევნაყრდეთ... მერე რა მშვენიერი საუზმები იციან იქ!..

— ძალიან საჭიროა საუზმე!.. იქ ყველა მაწანწალა ხალხი მოიყრის ხოლმე თავს... მერე პირდაპირ ხელებითა სჭამენ ხოლმე... არა, მადლობას მოგახსენებთ... მე იქ არ გიახლებით...

— მაშ სად წავიდეთ?.. გინდა გიქების სამკურნალო დავათვალიეროთ?

— რას ამბობთ, მამავ! ის არა სჯობია, მედონის ტყისკენ გავიაროთ!

— მედონის ტყისკენო! ლაპარაკში ჩაერია დედა: იქ შეყვარებულნი დადიან!.. მე-კი, სწორედ გითხრა, მამიშენის ყურება არაფრად მესიამოვნება... იქ სხვები-კი თავიანთ შეყვარებულთ ელტვიან და თვალებში შესცქერიან.

— იქ საჭმელსაც ვერაფერს ვიშოვნით... დაუმატა ქრისტეფორემ... მაგრამ რაკი ფილიპასა სურს...

მეორე დილით ხუთს საათზე მთელი ოჯახი ფეხზეა... კატერინა ჩვეულებრივ დაარიგეს და დასტოვეს სახლის დარაჯად. სახლიდგან სახლობა ჯერ გემისაკენ გაეშურება. მართლა სასიამოვნო სანახავია გემი ოთხასის მოგზაურითურთ, როცა გაშლის ხოლმე იალქნებსა და მედიდურად დაიძვრება ნავთ-სადგურიდგან.

დღეს ფილიპა არა ჩვეულებრივად კოპწიად მორთულიყო; ცივი-ლაჟვარდის ფერი კაბა ჩაეცვა, თავზე საზაფხულო, კაბის ფერი, ყაითნებით მორთული ქუდი დაეხურა და კაბისავე ფერის ქოლგა დაეჭირა ხშირი და გრძელი წაბლის ფერი თმა საუცხოვოდ დაეწნა... სახეზე ღიმილი მოსდიოდა და მშვენიერს ტუჩებში მარგალიტსავით თეთრი კბილები უჩანდა... ჩაცმულობითა და სახით ანგელოზს ემსგავსებოდა ფილიპა. ყველა სიამოვნებით შესცქეროდა ფილიპას, ყველას ყურადღებას იზიდავდა... მხოლოდ ერთი კლოდი იყო, რომ არავითარს ყურადღებას არ აქცევდა. სახლობა მდ. ქვემო მედონზედ გადებულს ფიცარს გადავიდა და მახლობელს სოფელში მივიდა. დედა და ქალი სოფლის ეკკლესიაში შევიდნენ.

— კერპთ მსახურო, შენ რატომ აღარ შემოხვალ ეკკლესიაშიო, მიუბრუნდა ანნა თავის ქმარს.

— შენ რაო მერე! მადლობას მოგახსენებ... ნეტა რაბლე მაინც სწირავდეს...

მინამ დედა—შვილი ლოცულობდნენ, ქრისტეფორემ და იმისმა მომავალმა სიძემ იქვე მახლობელს დუქანში ერთი ბოთლი ღვინო გამოსცალეს.

ლოცვას შემდეგ ოთხივენი ტყისკენ გაეშურნენ და ერთ საათზე ვილბინოს ერმიტაჟში ავიდნენ. აქ სცხოვრებდა მთლად გათეთრებული მოხუცი კაცი შვილ-რძალითა და პატარა შვილი-შვილებით. სახლის გარშემო მშვენიერის ფერადის ყვავილების ბაღჩა იყო გაშენებული... ბაღჩის მახლობლად დიდ-ძალი ფრთოსანი თავისუფლად დანავარდობდა. იქვე გომიდამ ძროხის ბღავილი ისმოდა.

— საჭმელს მიშოვით რასმე? იკითხა ანნამ.

— საჭმელს? უპასუხა გაკვირვებულმა ქრისტეფორემ: ვერა ჰხედავ, ჩვენი სადილი მწვანეზე დარბის!

ხეივანს ქვეშ უცბად გაშალეს მაგიდა, მაგიდას სუფთა სუფრა გადააფარეს და აავსეს მშვენიერის საჭმელებით... ნოყიერი ერბო-კვერცხი, მშვენიერი პური, მოხრაკული წიწილა, ათასგვარი ხილი და ორი ბოთლი სუნნელოვანი ღვინო ერთს წამს გაჩნდა სუფრაზე. გაკვირვებული პა-

*) იხ. „ივერია“ № 232.

⁂ ტფილისში ჩამოვიდა მალოროსთა ხორო პ. ნ. გორდოვსკისა და რამდენისამე კონცერტის გამართვას აპირებს. პირველს კონცერტს გორდოვსკი დღეს გამართავს „ტფილისის არტისტ. საზოგადოების“ დარბაზში.

⁂ ყვირილა: ჩვენი დაბა ამ ბოლოს დროს გვარიანად გალაზათიანდა, ბევრი ახალი შენობა აიგეს, ვაჭრობა გაცხოველებულია, ხალხის ხელში ფული დატრიალდა მას შემდეგ, რაც შავი ქვა აღმოაჩინეს, რადგან ხუთ-ექვს ადგილიდგან აქა გროვდება და აქედგან საზღვარ-გარედ იგზავნება. გადმომზიდველნი ფუთზედ 20—30 კაპ. იღებენ. სულ ცოტა რომ ვსთქვათ, წელიწადში 5—6 მილიონ ფუთამდე ქვა უნდა მოჰზიდონ. ეხლა ყვირილაში ყველგან დუქნები დაიმართა და ყველაფერი იშოვება გასაყიდად. ვაჭრობას უფრო ის აცხოველებს, რომ ორთქლით მატარებელი წამდაუწუმ თვალ-წინ გვიდგია და ჩვენებურს მოაჭრეებს ადვილადა აქვთ მისვლა-მოსვლა ქალაქებში. სამწუხაროდ, ჩვენს დაბას დიდი უბედურება მოელის, თუ ყვირილიდგან რკინის გზის შტო ჭიათურას გვირაბებამდე გაიყვანეს. ეს ხმა დადიოდა ამ სამის წლის წინადაც, ეხლა უფრო დაბეჯითებით გაისმა და ამიტომ ყვირილელებმა ცხვირ-პირი ჩამოუშვეს. ამ გზის გაყვანით დიდად მოეჭრებათ ლუკმა შავის ქვის მზიდველებს, მეტადრე მუშა ხალხს. მაგრამ ეს კიდევ არაფერი, ნეტა პირდაპირ ყვირილიდგან მაინც გაიყვანდნენ და მოჰშლიდნენ შორაპნის (ციხისთან შესაერთებელს შტოს, თუმცა ყვირილიდგან ლიანდაგის გაყვანას ადგილ-მდებარეობა არ უწყობს ხელს. ეხლანდელის გზით გაყვანა-კი ლიანდაგისა ოთხის ვერსით დააშორებს ყვირილას რკინის გზას. ამის გამო ჩვენებურმა მემამულეებმა უკვე მიჰმართეს გზათა მინისტრს მის აქ ყოფნის დროსა და სთხოვეს პირდაპირ ყვირილიდგან გაყვანა რკინის გზის შტოსი, მაგრამ აქამდე იმათ თხოვნას ჯერ სიკეთე არა მოჰყოლია-ო.

⁂ მაღარო (სიღნაღის მაზრა): ჩვენის სოფლის საზოგადოებამ ამოირჩია მამასახლისად აზნ. ივანე გიორგის ძე ნასიძე და სთხოვა მაზრის უფროსს, გვიშუამდგომლე მთავრობის წინაშე და დაგვიმტკიცებინე ჩვენი არჩეული კაცი მამასახლისადაო.

⁂ „Нов. Обоз.“-ეს შეუტყვია, რომ ჩვენს ქვეყანაში ორგან აპირობენ ვერცხლ-ტყვიის მადნების მუშაობას. ერთი ამნაირი მადანია რაჭაში, სოფელ წედისს, მეორე სოფელ ახელს თიონეთის მაზრაში.

⁂ იგივე გაზეთი ამბობს, რომ მარტვილის მონასტრიდამ ჩამოვიდა ტფილისს შეწირულებათა მოსაგროვებლად მონოზანი გეჯია, რომელიც 70 წლისაა და სიმაღლით-კი ერთს არშინზედ მეტი არ არის.

⁂ დროებითმა გამგეობამ სახელმწიფო რკინის გზებისამ გადასდო ფული ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე მოსამსახურეთა დასაჯილდოებლად. ამასთანავე განკარგულება იყო, რომ იმ ფულიდგან 1500 მან. ტელეგრაფის იმ მოხელეებს მისცემოდათ საჩუქრად, რომლებსაც 1886 წელს ადრე დაუწყიათ სამსახური და პირ-ნათლად აუსრულებიათ თავისი თანამდებობა, ხოლო მეოთხედი-კი უფროსს აგენტებისთვის უნდა გაენაწილებინათ, მაგრამ გაყოფის დროს გამგეობა უფრო უკეთესად მოიქცა და მთელი ფული სულ მცირე ჯამაგირის მქონე მოხელეებს დაურიგა. („Тиф. Лис.“)

⁂ 30 ამ თვისას, პოლიციის მერვე ნაწილში, ნავთლუღში, სადაც საქონელსა ჰხოცავენ, შეიპყრეს სოფ. ახ-კოლასას მცხოვრებელი ახმედ ისმაილ-ოღლი, რომელსაც ხარი მოეპარა და მიჰყავდა. ქურდი გამომძიებელს გადასცეს.

⁂ ამავ დღესვე, არსენალის მახლობლად მყოფს სახალახოდგან მოიპარეს 2 ძროხა: ერთი პოლიციელის ფედოტ კონდრატიევისა და მეორეც ავლაბრის მცხოვრებლის თეოდოსია კოტინოვისა. მეორე დღეს პოლიციის მეშვიდე ნაწილში შეიპყრეს ქურდი ტფილისში მცხოვრებელი აზნ. ისა ალექსეროვი ბეგ-ალალაროვი, ძროხები უკანვე წაართვეს და პატრონს გადასცეს. ალალაროვი სამართალში მისცეს.

## ქუთაისის ბანკის ამბავი

(წერილი ქუთაისიდამ)

ჩვენის სადგილ-მამულო ბანკის წევრთა საგანგებო საზოგადო კრებისათვის დანიშნულს დღეს ქუთაისი სრულიად აივსო იმერეთისა და სამეგრელოს თავად-აზნაურობით. სასტუმროები, რესტორანები, დუქნები სულ ერთიანად გაჭედილია მოსულის ხალხით, ბულვარში ტევა არ არის. ბაასი და ლაპარაკი ყველგან იმაზე აქვთ, სიმართლე აქვს, თუ არა ზედამხედველს კომიტეტს ბანკისას, რომ ბ-ნს ჩიქვაიძეს გადაყენებას უპირობს თანამდებობიდგანაო.

გამგეობას ბანკისას მიუღია წევრთაგან 1079 ვექილობა. ამათში გაურჩევია და შეუმოწმებია მხოლოდ 130. დღეს, 20 ამ თვისას, ხალხი დილიდგან მოყოლებული გროვდება ხარაზოვის თეატრის დარბაზში; თეატრი და ქუჩა ხალხით აივსო. ამასობაში ზედამხედველს კომიტეტსა და გამგეობას ბანკისას სხდომა და ბჭობა აქვთ თვით ბანკის დარბაზში, ხალხი თეატრში ელოდება, შუადღე გახდა. თითქმის პირველი საათი შეიქმნა და კიდევაც გამოჩნდნენ თავმჯდომარე კრებისა, თავ. ს. გ. წერეთელი და წევრნი კომიტეტისანი: თავ. პ. გ. ნაკაშიძე და ა. ნ. ლორთქიფანიძე, და გამგეობის წევრნი ბ-ნი ჩიქვაიძე და თავ. ნ. ერისთავი. თავმჯდომარე აცხადებს, რომ კრება დაიწყოო და კითხულობს გამგეობის გარდაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ გამგეობას არ შეუძლია ათასი ვექილობა შეასწოროს და შეამოწმოს ორს კვირაზე ადრეო. გამგეობა ამბობს, რომ სხვა საქმეც ბევრი გვაქვსო და ამიტომ ორს კვირაზე ადრე მაგ შემოწმებას ვერ მოვასწრობთო. წაიკითხა თუ არა ბ-ნმა თავმჯდომარემ ეს გარდაწყვეტილება, ერთმა ნაწილმა კრებისამ, ბ-ნ ჩიქვაიძის მომხრემ, შექმნა კიჟინი და ყვირილი, „არ შეიძლება“, „ეხლავე ჩამოატარეთ კენჭი“, „შესწორება და შემოწმება ვექილობათა საჭირო არ არის“, ორს კვირას ვერც მოვიცდით“, „არ შეიძლება“, „ეხლავე“ და სხვანი. ყურთა სმენა არ არის. მეორე ნაწილი კრებისა თხოულობს სხდომის დანიშვნას სხვა დროსთვის და ვექილობათა გულ-დასმით შემოწმებასა და შესწორებას. ბ-ნი პავლე ჩხეიძე ამბობს, რომ ყოვლად შეუძლებელია ორის კვირის ვადით სხდომის გადადება და შესაძლოა ვექილობათა შეუსწორებლად შევუდგეთ საქმესაო. სიტყვას თხოულობს ბ-ნი კ. ლორთქიფანიძე, მაგრამ ჩიქვაიძის მომხრე ნაწილი კრებისა ჰყვირის: „არ გვინდა, გაჩუმდით“, თავმჯდომარე ზარს არაწკუნებს, ეხვეწება და ემუდარება საზოგადოებას: დაწყნარდით, დამშვიდდით და კამიტეტი მოგახსენებთ თავის აზრს შესახებ გამგეობის გარდაწყვეტილებისას, მაგრამ მისი ხვეწნა და მუდარა, ამაოდ რჩება. ერთი ნაწილი კრებისა მაინც ჰყვირის: „არ შეიძლება“, „ეხლავე კენჭი“, „კენჭი“. თავმჯდომარე აცხადებს, რომ სხდომა ეხლა დასრულებულია და იმის გადასაწყვეტად, თუ რა დროისთვის დაინიშნოს კრება და ვექილობათა შესწორების შესახებ მოსალაპარაკებლად დღეს სალამოს შვიდს საათზე მობრძანდითო: ბ-ნი პ. ჩხეიძე მარდად ადის თეატრის ესტრადაზე და რაღასაც ეუბნება ბ-ნს თავმჯდომარეს. მეორე მხრიდგან გამოდის მეორე და ეუბნება თავმჯდომარეს: თუ შეიძლება, ნებას ნუ-რავის აძლევთ თქვენთან ამოსვლისას. ამასობაში მარცხენა მხრიდგან ავარდა რამდენიმე კაცი; შემდეგ ადის სცენაზე თავ. კ. დადიანი და ესეც რაღასაც ეუბნება ბ-ნს თავმჯდომარეს. რაკი ეს დაინახეს, ჩიქვაიძეს მომხრენი ავარდნენ სცენაზე, ამათ სხვებიც ამოჰყვნენ და შეიქმნა საშინელი ღრიალი, ყვირილი ბ-ნ ჩიქვაიძის მომხრენი გარს შემოერტყნენ ბ-ნს თავმჯდომარესა და იძახიან: „არ შეიძლება“, „კენჭი“, „ვერ წახვალთ“, „არ გაგიშვებთ“, „ცოცხლებს არ გაგიშვებთ“. ერთი ყმაწვილი კაცი დარბის სცენაზე და ეუბნება ზოგიერთს: „აქ დადექით, იქ დადექით, არ გაუშვათ“. თავმჯდომარე ეუბნება ჩაბრძანდით, დამშვიდდით და ყოველსავე მოგახსენებთ, მაგრამ ამაოდ: „ეხლავე დადგი იაშჩიკები“ და კენჭის ყრა დაიწყეო, თორემ აქედგან ფეხს არ მოვიცვლითო, გაიძახიან ჩიქვაიძისავე მომხრენი. ასე გადის ნახევარ საათზე მეტი.

ხალხი ცოტად დაწყნარდა და თავთავის ადგილზე დალაგდა. თავ. დ. მიქელაძე თხოულობს სიტყვასა და ამბობს შემდეგს (შემოკლებით მოგვყავს): ვსთხოვოთ ბ-ნს ჩიქვაიძეს, წარმოსთქვას თავისი აზრი, შესაძლოა თუ არა კენჭის ჩამოტარება ვექილობათა შეუმოწმებლად“. ამაზე ბ-ნ ჩიქვაიძე ამბობს: დავით მიქელაძის თხოვნით მე არაფერს ვიტყვი, ხოლო თუ საზოგადოებას ჰსურს, დაწვრილებით მოვახსენებ ყოველსავე, რაც ჩემსა და კომიტეტს შორის მოხდაო“. ეგ საჭირო არ არის, უპასუხეს ჩიქვაიძეს, სათქმელი ეხლა ის არის, შესაძლოა თუ არა სხდომის გამართვა და კენჭის ყრა ვექილობათა შეუსწორებლადაო. ჩიქვაიძე ამბობს: ვინც ამ კრებაში იმყოფება, მე ყველა პატიოსან და რიგიან კაცად მიმაჩნია. თუ ვინმეა ჩემს „პარტიაში“ ავაზაკი, ყაჩაღი და სხვანი ამ გვარნი, მითხრან და მე თვითონ განვაძევებ იმათ აქედგან, რაც შეეხება ვექილობათა შესწორებას, უნდა მოგახსენოთ, რომ მართალია, კანონის ძალით რწმუნების წერილები შემოწმებული უნდა იქმნას, მაგრამ მე, როგორც კალისტრატე ჩიქვაიძე პირადად ვფიქრობ, რომ შესაძლოა ამ წერილების შეუსწორებლად კენჭის ყრაო“. ლაპარაკს აპირებს ბ-ნი კ. ლორთქიფანიძე, მაგრამ უყვირიან: “არ შეიძლება“ არ გვინდა „გაჩუმდით“ და სხვ. ბ-ნი თავმჯდომარე აცხადებს, რომ ეხლა დავიშალოთ და ხვალ დილით მობრძანდით, ათს საათზეო. ამის თქმა და ბ-ნ ჩიქვაიძის მომხრეთა აცვივნა სცენაზე ერთი იყო: თითქო ვინმემ ანიშნა: „აბა, თქვენ იცით, ეხლა დრო არისო“. შეიქმნა ყვირილი: არ მოუშვათ, „გზა გაუკავეთო“. რაკი საქმე ასე დატრიალდა, თავადნი: კ. დადიანი, გელოვანი, ჩიქვანი და სხვანიც თავადნი და აზნაურნი, მოთმინებიდგან გამოსულნი, მირბიან თავმჯდომარისაკენ, უწესოების ჩამდენნი მიფანტ-მოფანტეს, გარშემო შემოერტყნენ ბ-ნს თავმჯდომარესა და კარებისაკენ მიჰყავთ; ჩიქვაიძის მომხრენი უკან მოსდევენ და იძახიან: „არ გაუშვებთ“, „არ შეიძლება“, „კენჭიო“, მაგრამ მარშლისა და თავმჯდომარის ღირსებისათვის თავ გამოდებულნი თავად-აზნაურნი გზას არავის აძლევენ მარშლისაკენ და ამ ნაირად მიჰყავთ თავ. ს. წერეთელი სასტუმრო „ფრანციამდე“.

ამ ამბებმა დიდი ლაპარაკი გამოიწვია ქუთაისში. გონიერი ნაწილი საზოგადოებისა სწუხს და დრტვინავს, რომ ამისთანა ამბავი დააყენეს გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლსა და ზედამხედველის კამიტეტის თავმჯდომარეს. სალამო ჟამზე ბულვარი სავსე იყო ხალხითა და სულ ამ შემთხვევის შესახებ ჰქონდათ ლაპარაკი.

ა. ნა—ლი

---

რიქელები მოუსხდნენ სუფრას. მაგიდას ირგვლივ ძაღლები და კატები ტრიალებდნენ, თითქო ხარჯსა თხოულობენო. სადილს შემდეგ ანნას იქვე სავარძელში მიეძინა, ქრისტეფორეკი შევიდა სახლში და აქ იმისი ყურადღება მიიზიდა ძველმა ჭიანურმა.

— ეს ჭიანური გვარნეუსისაა... წამოიძახა ქრისტეფორემ. მოხუცმა სახლის პატრონმა აუხსნა მარტოს, რომ ეს ჭიანური ჩემის პაპის ნაქონია. პაპა ჩემი მეფე ლუილის დროს იყო და იმის თორმეტ მეჭიანურეთა შორის იგიც ერიაო.

— განა თქვენ მოესწარით ლუილის?

— არა, მე-კი არა, ჩემი პაპა. მოხუცმა და ქრისტეფორემ გააბეს ლაპარაკი.

კლოდი და ფილიპა? ისინი ჩვეულებრივ ზურგ-შექცეულები ისხდნენ ხეივანს ქვეშ... ახალგაზდა მოახლე სუფრას ალაგებდა და თან ქვეშად შესცქეროდა გაბუტულს ახალგაზდებს.

— რა უმსგავსობაა, როცა შეყვარებულნი ჩხუბობენ?.. აბა, რაღას უყურებთ, ყმაწვილო! ადექით, ლოყაზე აკოცეთ... ლოყა ოჰ, მშვენიერი საკოცნელი ალაგია! ვეღარ მოითმინა მოახლემ და სიცილით უთხრა კლოდს.

— ჩვენ სულაც არა ვართ ერთმანეთზე გამწყრალიო, უპასუხა კლოდმა.

— და სრულიადაც არ გვიყვარს ერთმანეთი! დაუმატა ფილიპამ.

— ეგ უფრო ცუდი... იმიტომ რომ სიყვარულის მეტი სხვა ბედნიერება აღარა არის-რაო, სთქვა და მოსცილდა მოახლე.

— ტყისკენ გავიაროთ, კლოდ! უთხრა ფილიპამ კლოდს; იქ უფრო თავისუფლად ვილაპარაკებთ...

კლოდი ხმა ამოუღებლივ დათანხმდა ფილიპასა და ორივენი მხარ და მხარ ნელის ნაბიჯით გაემგზავრნენ.

დუმილი ჰმეფობდა ტყეში. ახალგაზდანი ბუნების მწვანე ხალიჩაზე ისე ჩუმად მიდიოდნენ, რომ თვით საკუთარის ფეხის ხმაც-კი არ უშლიდათ თავისუფლად ელაპარაკნათ. ხეივანს კარგა რომ გაშორდნენ, ფილიპა ხის კუნძზე ჩამოჯდა და კლოდიკი იმის გვერდით მწვანეზე წამოწვა..

პატარა ხანს ორივენი ჩუმად იყვნენ.

— ნეტავ! დაიწყო ფილიპამ ნელის ხმით, ასე რათ უნდათ ყველას, რომ ერთმანეთი გვიყვარდეს. სწორედ საკვირველია, რად ეჩრებიან სხვის საქმეში... მარტო შენ არ მოგიბეზრებია თავი ჩემთვის, კლოდ...

რასაკვირველია! შენ ჯერ ბალღი ხარ და განა შეგიძლიან სიყვარულის ავკარგიანობის შეგნება? ფილიპას ცოტა არ იყოს ეწყინა კლოდის სიტყვა და გაცხარებით უპასუხა:

— არა, კლოდ! ბალღი აღარა ვარ! კარგად ვიცი, რაც არის სიყვარული! მხოლოდ... ამოიოხრა ფილიპამ, ყოველთვის არ შეგვიძლიან შეიყვარო ის, ვისაც დაგისახელებენ და ვის სიყვარულსაც თითქოს გიბრძანებენ კიდეც.

კლოდმა წამოიწია, დაეყრდნო იდაყვსა და გაოცებით შეჰხედა ფილიპას... ფილიპა გაწითლდა, თითქოს შეეშინდა მეტი ხომ არა ვთქვი-რაო, და თავი ჩაღუნა..

— მაშ შენც საიდუმლო გაქვს რამე, ფილიპა?..

— როგორ თუ მეც? მაშასადამე, შენ თითონ საიდუმლო რამ გქონია და მიმალავ!..

— მომისმინე, ფილიპა, ჩვენ როგორც სჩანს, გულით არა ვართ მოწადინებულნი ერთმანეთს დავეკუთვნოთ... მაგრამ განა ეს დაგვიშლის, რომ მეგობრობა გაუწიოთ ერთმანეთს? განა არ შეგვიძლიან მეგობრულად დავეხმაროთ ერთმანეთს... ჩვენი საქმე ჩვენისავე სურვილისამებრ დავაბრუნოთ და ჩვენს მშობლებსაც უარი ვათქმევინოთ.

— დარწმუნებული რომ ვიყო, არ გამცემ..

— თუ გინდა, პირველად მე გაგიტყდები... ის, ვინც მე მიყვარს... მაგრამ არა... ჩემი უჭკუობა შენ სიცილადაც არ გეყოფა.

— არა, კლოდ! რად დაგცინებ, როდესაც კარგად მესმის, რა ჯოჯოხეთური ტანჯვაა გამოურკვეველი სიყვარული..

მეტადრე მაშინ, როცა უიმედო სიყვარული შეიპყრობს ადამიანს...

— უიმედო?

— სწორედ!.. მე ჯერ არც-კი დაველაპარაკებივარ იმას... და უეჭველია არც მეღირსება იმასთან ლაპარაკი...

— მე სახელიც არ ვიცი. იმ ყმაწვილის კაცისა, ვინც ჩემი გული დაატყვევა...

— საწყალო ფილიპა!

— საბრალო კლოდ...

ახალგაზდანი მიახლოვდნენ ერთმანეთს. კლოდმა წააველო ხელი ფილიპასა და მაგრად მოუჭირა...

— იცი ვინ მიყვარს?.. გიმარი!

— გიმარი? ოპერის მოცეკვავე ქალი? აი ის, თავისი საზაფხულო სადგომი რომ გაყიდა და დეპრეო შეირთო?

— იმის წარსულს მე რას დავეძებ! გონება-დაფანტული ვარ იმას შემდეგ,

## ისტორიული მასალა მეფე ირაკლის ცხოვრებისა.

(შემდეგი*)

**№ 3 1772 წ. 12 ნოემბერს**

„ქ. ჩვენ მაგიერად ჩვენს დიდს იმედს და დიდათ იმედათ მისაჩენელ-მისახედავს და არა ოდეს არ დასავიწყარს ქემიკჩიბაშს აბაშიძე იოანეს მრავალი მოკითხვა ეუწყოს. მერე შენი წიგნი მოგვივიდა და ქალაქის ნაპირს ლეკისაგან ცემა და თარეშობა მოგვეწერა. მაგ საქმეზედ დიდათ ვსწუხვართ და ჩვენი ხვინიდისი იკვემება, მაგრამ აქაურის საქმეების გამოისად მოცალეობა არა გვაქვს. ჩვენს შვილს მოახსენე ყაზახიდამ და ელებიდამ კაცნი დაიბაროს და ქალაქში ამყოფოს. სარდალ სალთხუცესს დავითს რაც ელებიდამ კაცნი მოჰყვნენ, იმათაც ამ ორ-სამ დღეზედ მანდ გამოვგზავნით; რომ ჯარი გეთხოვნათ, იქნება რომ ქიზიყიდამ ასიოდე კაცნი გამოვგზავნოთ. მარფუთაში რომ სათარეშო წასვლა მოგვეწერა, ჯერეთ წასვლის დრო არ არის: ფაშას (ახალციხისას) წიგნი მივსწერეთ და ამ წიგნის პასუხს მოველით; ვნახოთ რას პასუხს მოიწერება. შენი ერთს ალაგს წასვლა რომ მოგვეწერა, არეულობა და ყალმაყალი არის, არამც ერთს ფათერაკში გაეხვიო რაშიმე. ჯერეთ დრო და ჟამი არ არის შენის წასვლისა; როდესაც დრო იქნება, მაშინ გაგისტუმრებთ. ყარაჯალარის ქემხა და მაჰმად უზბაში აქ ჩვენთან არიან; ჩვენ და ესენი ვილაპარაკებთ, ბინას დავდებთ და როგორც ბინა დავდვათ და მოვიწერნეთ, ისრე დააყენეთ, ამ ხუთს-ექვს დღეზედ გამოვისტუმრებთ. რაც კახეთის ელის საქონელი იყოს, ქალაქის ნაპირს ნუ დააყენებინებთ; სხვაგან გააგზავნინეთ. შენს შუამავლობას იულონ ძირს არ დასცემს. ახალციხის მკრისაკენ კარგი გულის მოსანდო ყარაულები დააყენეთ. ნოქრებს (მორიგი ჯარის კაცნი) გული დაუდევით და რითაც იყოს გააძლიერებინეთ. ალიწერა გიორგობის იბ: ქრონიკონს უჲ ქ. რაც მოგვეწერია ესები ყველა ჩვენს შვილს გიორგის უამბე ჩვენც ჩვენის შვილის გიორგის ნახვა და შენი ნახვაც გვინდა და ვიცით რომ თქვენც გინდათ ჩვენი ნახვა, მაგრამ ახლა მანდედამ თქვენი დაძვრა არ იქნება, მანდაურობას მოვლა ეპირება. [ბეჭედი]"

1770 წ. შემდეგ მეფე ირაკლისთან იმყოფებოდა განუშორებლად რუსეთის მთავრობის ელჩი ლვოვი, რომლის საეჭვო მეგობრობამ მთლად აუწეწა ირაკლის სამეფო საქმეები: სულეიმან ფაშამ რომ ვერ ალაგმა ირაკლის მძლავრობა, ერთი ათად გაზვიადებულის ცნობებით აბეზღებდა სულთანთან. ამ უკანასკნელს ილაჯი გაუწყდა ჯარისა და ხაზინის გზავნითა და სპარსეთის ყეენს ქარიმ ხანს შეუთვალა: „მე და შენ მეგობარნი ვართ და შენი ვალი (დამოკიდებული, ხელქვეითი ყმა) საქართველოს მეფე ირაკლი ამტუტებს ჩემს მამულსაო. აგიშვია ეს ერთი ლომი და ხაზინის ბარაქა გამიწყვიტაო". ქარიმ ხანს გულში უხაროდა ოსმალთა მარცხი და დაქვეითება ირაკლის გამო და ეუბნება თავის სიხარულს ვეზირებს: „ხონთქარი დაჩოქა და ჩემთან აჩივლებსო". ქარიმ ხანმა გამოუგზავნა ირაკლის ხმალი და ცხენი ოქროს იარაღით შეკმაზული; ხონთქარი-კი დაიმედა—ირაკლის მე დავაწყნარებო. ირაკლიმ ელჩი გაგზავნა (მირზა გურგენ ენიკოლოფაშვილი) ხონთქართან სტამბოლსა და აცნობა ახალციხის ფაშის სულეიმანის გაიძვერობა—„აქ მე არ მავნებს, მანდ შენ ხაზინასაო". სულთანმა სიხარულით მიიღო ირაკლის ელჩი და მეგობრობა აღუთქვა. იხ. 495 გვ. ქართ. ცხ. აი ამ გარემოების გამო სულეიმან ფაშასა და ირაკლის შორის იმართება მიწერ-მოწერა, ლეკნი-კი ბინადრობენ სულეიმანთან და აოხრებენ ქართლს. ამ დროს, ე. ი. შემოდგომაზედ **1772 წ.** ირაკლი იმყოფება ქიზიყის ბოლოსა და მეცადინეობს ჭარ-ბელაქნელთა შემორიგებას. იოანე აბაშიძეს უშლის ჯავახეთისკენ გათარეშებასა და ერევანში ჩასვლას. ამას შემდეგში უფრო ცხადად დავინახავთ. შემდეგი ორი წერილი სულეიმან ფაშას გაიძვერობას შეეხება: საქართველოში მოვაჭრე ფრანგების დაძარცვასა.

მღვ. პ. კარბელაშვილი

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია" № 223.

# რუსეთი

რუსეთის დასავლეთს საზღვარზე საკვირველი და არა ჩვეულებრივი ამბავია ამ ჟამად. მიდის და მიდის ხალხი საზღვარ გარედ უცხო ქვეყნებში გადასასახლებლად. მთავრობა ბევრს ღონისძიებას ხმარობს, მრავალი დარაჯი უყენია საზღვარზე, მაგრამ ვერაფრით ვერა და ვერ შეიკავა ხალხი გადასახლებიდგან. არც მთავრობის სასტიკობა, არც სამღვდელოთა შთაგონება, არც ის სიღარიბე, რომელიც მით უცხო ქვეყანაში მოელის, პირველს ხანში მაინც არა სჭრის და ვერა მოქმედებს ხალხზე მთავრობის სურვილისამებრ. ბევრს იჭერენ, მოჰყავთ უკან თავიანთ ბინაზედვე, მაგრამ მათ მაგიერ სხვანი იპარებიან და მიდიან. ერთის სიტყვით, ოთხი გუბერნია ვისლის მხარესი და მრავალი სხვა ადგილები ჩრდილო-დასავლეთ რუსეთისა ლამის არის განახევრდეს: სახუმრო საქმე არ არის, რომ დღეში ასი და ორასი სული მცხოვრებელი აკლდებოდეს და იქიდგან-კი თითქმის ამაზედ მეტიც მიისწრაფის საზღვარ-გარედ. გაზეთების სიტყვით, ამ რამდენსამე თთვეში ათი ათასობით აყრილან და გადასახლებულან. მაგრამ ჯერ სად არის, ამას იქით უფრო უარესია მოსალოდნელი. ეხლა თან და თან უფრო და უფრო ძლიერდება და ხშირდება ხალხის გაპარვა-გადასახლება.

საზღვარ-გარედ უმთავრესად ღარიბი უდედულ-მამულო საბატონო გლეხობა მიდის. ამას მისდევენ ღარიბივე ხელოსანი ხალხი და ქარხნის მუშები, რომელთაც ამ ბოლოს დროს ძლიერ გაუჭირდათ ცხოვრება სამუშაოს უქონლობის გამო. ამ ღარიბს ხალხს გარდა, შეძლებული გლეხობაც მიდის უცხო ქვეყანაში გადასასახლებლად, მაგრამ ძლიერ ცოტა-კი, ასე რომ ეს ნაწილი გადასახლებულებისა ანგარიშში ჩასაგდები არც-კი არის, რადგან კარგის საკუთარის მამულ-დედულის პატრონი გლეხი ჯერ-ჯერობით თითქმის არავინ აყრილა და არც გაზეთებში ყოფილა მოხსენებული, რომ მამული ვისმეს გაეყიდოს. მართალია ბევრჯელ სწერდნენ გაზეთებში, გადასახლებულებმა მიყიდ-მოყიდესო, მაგრამ კერძოდ მამულზე-კი არ იყო ეს ნათქვამი, არამედ გლეხების ქონებაზედ. ამის დასამტკიცებლად ისიც შეიძლება ვუჩვენოთ, რომ ებრაელებს მიჰყიდესო, და ებრაელებს ხომ მამულების ყიდვის ნება არა აქვთ კანონის ძალით.

აქედგან ცხადად სჩანს, რომ გადასასახლებლად მხოლოდ ულარიბესი, ბოგანო ანუ უმამულო გლეხობა და საცხოვრებლად საზრის არა-მქონი მუშა ხალხი მიისწრაფის. ამასვე ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ დიდის მამულის პატრონებს შემოსავალი დააკლდათ და მუშების შოვნაც გაძნელდა და გაძვირდა. თვითონ ის ამბავიც, რომ გადასახლების მსურველი გლეხები თავის თავზედ ამბობენ, არა გვიჭირს-რა და სამღვდელოება აქ დარჩენას რომ გვირჩევს, ბატონების მხარი უჭირავსო, მგონი ამასვე უნდა ამტკიცებდეს. ხალხში ხმაა გავრცელებული, რომ უცხო ქვეყანაში გადავსახლდებით თუ არა, მამულებს დაგვირიგებენ და შემწეობასაც მოგვცემენ სახლის მოსაწყობადაო, მხოლოდ რამდენიმე ხანი-კი მოჯამაგირედ უნდა ვემსახუროთო. ეს ხმაც აშკარაა, რასაც ნიშნავს. მაშასადამე უპირველესი და უმთავრესი მიზეზი ხალხის გადასახლებისა გლეხების უმამულობა და მუშების მიერ სამუშაოს უშოვნელობაა. გაზეთები სხვა მიზეზებსაც ასახელებენ, ამბობენ, აგენტები დადიან და ხალხს აქეზებენო. ამის შესახებ ის უნდა ვსთქვათ, რომ შეიძლება წაქეზებას მართლა რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს ამ საქმეში, მაგრამ მხოლოდ წაქეზებას-კი არ ძალუძს ხალხის აყრა და გადასახლება, თუ იგი სხვა მიზეზით ადრევე გულ-აცრუებული არ არის თავის ბინაზე და გაჭირებული ცხოვრება არა აქვს. მთავრობა გულ-მოდგინედ ეძებს ამ აგენტებს, მაგრამ მათგანი ვერავინ ვერ ჩაიგდო ხელში. ეს რას ნიშნავს? გაზეთების სიტყვით—იმას, რომ აგენტები ძლიერ გაქნილი ოსტატები არიან, მაგრამ უფრო-კი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ აგენტები ან სულ არ არიან, ან ძლიერ ცოტა და ხალხივეა თავისი აგენტი და წამქეზებელი; შეწუხებულს, შევიწროებულს ხალხს შველა ეპირება და აი მისი ფანტაზია სხვა-და-სხვა ფერს სიამოვნებას უხატავს უცხო ქვეყანაში, თორემ ხალხში რომ მიხვიდე და ყური დაუგდო იმათს ლაპარაკს, ყველა გაგონილს გეუბნება და თავისს ნანახს-კი არავინ.

ყველა ზემოდ ჩვენ მიერ ნათქვამი დაწვრილებით განმარტებულია გაზეთ „Рус. Вѣд."-ში. ამ გაზეთის სიტყვით, ერთად-ერთი ღონის-ძიება, რომლითაც შეიძლება ხალხს გადასახლებაზე ხელი აალებინოს მთავრობამ, არის მამულების დარიგება და მათის ყოფა-ცხოვრების განკარგება.

# უცხოეთი

**გერმანია.** დიდი ამბავია ბერლინში და საზოგადოდ მთელს გერმანიაში იმის გამო, რაც ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორმა კოხმა გამოაცხადა ჭლექის მორჩენის შესახებ. კოხი ამტკიცებს, რომ იმავ აცრის წესით, როგორც პასტერი ცოფს სცრის, შესაძლოა ჭლექიც აიცრას და ეს ავადმყოფობა, რომელიც დღემდე უკურნებელ სენად იყო დასახული, ყოველთვის განჰკურნოს ადამიანმა. დაწვრილებით ჯერ არ არის გამორკვეული, როგორ და რა გვარად აპირობს ჭლექიანების მორჩენას კოხი. ეს-კია, რომ ამ პროფესორს ბევრი უმუშავნია ამ საგნის შესახებ, ცდაც ბევრი გაუწევია და ახლა თავის წამლობას რამდენისამე ჭლექიანის ადამიანის განკურნებითაც სცდის. იმპერატორი ვილჰელმი დიდის ყურადღებით თურმე ადევნებს თვალ-ყურს პროფესორის მუშაობას. ბერლინში დაუწყიათ კიდეც ლაპარაკი, რომ კოხისთვის გაიმართოს ისეთივე ინსტიტუტი ჭლექიანების სარჩენად, როგორიც პასტერისათვის იქმნა გამართული პარიჟში.

— გერმანიის ჟურნალ-გაზეთობის უმეტესი ნაწილი იმ აზრისაა, რომ დიდი ბაჟი ნუ დაედება რუსეთიდამ შემოტანილს პურსაო. იმას გარდა, რომ ეგ ღონის-ძიება პურს დაუძვირებს ღარიბს ხალხს, მავნებელიც არის ჩვენის საქონლის მრეწველობისათვის, რადგანაც დიდძალი საქონელი შეგვაქვს ჩვენ რუსეთში და შესაძლოა, რუსეთმა ამ საქონლისათვისაც დიდი ბაჟი შემოიღოსო. მაშინ დიდს ზარალს, აუარებელს ზარალს ჰნახავს ჩვენი მრეწველობაო.

**ინგლისი.** მიდლოსიანის სიტყვაში გლადსტონს ცოტაოდენი ბოლგარიის შესახებაც ულაპარაკნია. დიდებულს მოხუცს უქია წეს-წყობილება ბოლგარიისა და უთქვამს, რომ ბოლგარიაში წესი და რიგი ჰსუფევსო, ავ-კაცობა მოისპო, გზები მრავლად დაკეთდა, ყველა სოფელში სკოლები გაიმართა და თვით ხაზინა ისეთის ზომითა და ყაიდით ჰხარ-

---

რაც სცენაზედა ვნახე, როცა ისე კეკლუცად, ისე მოხდენით გარდელის ხელებზე დაეცა და გარდელმა ჰაერში აიტაცა. სისხლი ამიჩქეფრდა, თავი გამიბრუვდა და გულმა ისეთი ცემა დამიწყო, რომ მეგონა, აი ან ეხლა ამომივარდება ბუდიდგან და ან ეხლა-მეთქი!.. ოჰ! რას არ მივცემდი, რომ იმ წამს გარდელის მაგიერ მე ვყოფილიყავი..

ლაპარაკობდა კლოდი და სიყვარულით აღზნებული, მაგრად უჭერდა ხელს ფილიპას სუსტ თითებს.

— ეხლა-კი ცხადია, თუ ასე ხშირად რად დასდიხარ ოპერაში!.. მამაჩემს-კი ჰგონია, რომ მუსიკა იზიდავსო... კარგი, მაგრამ მითხარ ერთი, რის იმედი გაქვს?..

— მეც არ ვიცი! მე მხოლოდ იმის მონატრე ვარ, რომ როგორმე დავუახლოვდე, ახლოდგან გავიგონო იმისი ხმა. იმედი მაქვს, იმდენს ვაჟკაცობას ვიქონიებ, რომ დავემხობი იმის წინაშე და გულს მოვეულბობ. მაგრამ ეჰ, განა ის დედაკაცი, რომლის წინაშეც მრავალი დიდკაცობა და მთავრები მუხლს იდრეკენ, ვიღაც მემუსიკეს ნოქრის ტანჯვას ყურს ათხოვებს?..

— იცი, მე რაღა დამემართა? აკანკალებული ხმით დაიწყო ფილიპამ; დიდ პარასკევს მე და დედაჩემი ეკკლესიაში წავედით, რომ კუპერენის ორღანზე დაკვრა მოგვესმინა. ეკკლესიაში იყო ის ავადმყოფი, რომელსაც საშინელი კვეთა დაემართება ხოლმე, როცა ჯვარს მიუტანენ. მოუვიდა საწყალს კვეთა და ისეთის უშვერის პირით მოიხსენია ყველა წმინდანი, რომ ყურს არ გაეგონება, საწყალს პირზედ ქაფი მოადგა და იატაკზედ დაიწყო გორაობა. რვა კაცი ძლივს იმაგრებდა. ერთს დედაკაცს იქვე გული შეუწუხდა, სხვებს ხო ვაიუშველებელი შეუდგათ. ზოგი გარედ მირბოდა, ზოგი სვეტებს ეფარებოდა. ამ არეულობაში კაბაზე ვიღამაც დამადგა ფეხი. ხალხი მომაწვა და გარეთკენ გამიტაცა. ღმერთო ჩემო მეთქი, დავიყვირე შეშინებულმა. „ნუ გეშინიანო!" მითხრა ვიღაცამ და წელზე მაგრა მომავლო ხელი. მომესმა, რომ ვიღაც უცნობმა უთხრა დედაჩემს, მე მომყევით და ამ არეულობიდგან გაგანთავისუფლებთო. აქვე ვიგრძენ, რომ ჰაერში ამიყვანეს ისე, როგორც გარდელს გიმარი აუყვანია.

უცნობმა ხელით გამიყვანა გარედ. აქ ვნახე, რომ ეს ჩემი მფარველი ახალგაზდა და მშვენიერი ყმაწვილი კაცი იყო. გვერდზე ხმალი ჰქონდა ჩამოკიდებული. დედამ მადლობა რომ გადუხადა, იმან ზრდილობიანად გვთხოვა, სახლამდის მიგაცილებთო. ერთი ხელი დედას მისცა, მეორე მე და ასე წამოვედით შინისკენ. ვერ წარმოიდგენ, რა ნაირად მინდოდა, რომ გზა გაგრძელებულიყო. გზაზე პატიოსნად გვებაასებოდა. სახლის კარებთან, რომ მივედით და გამოვეთხოვენით, დედაჩემს ჰკითხა:

— „ნებას მიბოძებთ, რომ შემოვიარო და შევიტყო, დღევანდელის დღის აურზაურმა ცუდად ხომ არ იმოქმედა თქვენს ქალზე... თქვენი ქალი, ზედ ეტყობა, მეტად ახალგაზდა და სუსტის აგებულებისაა. ლაპარაკობდა და თან მე მიყურებდა, თითქო მეალერსებოდა... დედა ჩემმა პასუხი არა უთხრა-რა... თითონვე გაასწორა თავის სიტყვა: არ აგხირდებით! ჩემი მცირე პატივისცემა თქვენთან საუბარით უკვე დაჯილდოვებულია". კოპწიად დაგვიკრა თავი, ჩამოგვართვა ხელი, ერთი კიდევ გადმომხედა და გაგვშორდა. იმ საღამოდამ ის-ღაა ჩემი საფიქრელი და სადარდელი...

— იმას შემდეგ აღარ გინახავს?

— ვნახე ერთხელ კიდევ! ჩვენის სახლის პირდაპირ საფოტოგრაფიო სურათებსა ჰსინჯავდა... კარგად შევნიშნე, რომ სურათებს ისე არ შესცქეროდა, როგორც ჩვენს სახლს... არ იცის, რომელს სართულში ვცხოვრებთ, ამიტომ ფანჯარაში ვერ შემნიშნა.

მერე, რატომ არ დაენახვე...

— როგორ იქნება, კლოდ! მორცხვად წამოიძახა ფილიპამ.

ახალგაზდებმა კარგა ხან ისაუბრეს... ერთი სულ გიმარის ხსენებაში იყო, მეორე — უცნობისა... ერთმანეთს ყურს თუმცა არ უგდებდნენ, მაგრამ ერთმანეთის გულის პასუხი-კი კარგად ესმოდათ. კლოდს თუმცა გატაცებით უყვარდა მოციკვავე, მაინც რაღაც სიმშურნესა გრძნობდა, ფილიპა რომ ასე გატაცებით ლაპარაკობდა უცნობზე... აღელვებულმა ფილიპამ უნებურად გაჰშალა ფეხი და ხელზე მოარტყა კლოდს. კლოდი დააშტერდა პატარა ფუნჩულა ფეხს... თვისდა უნებურად თვალი ააყოლა წვრილს ტანსა და ყმაწვილის ქალის ბრწყინვალე თვალებსა და გაჭარხლებულს სახეს შეჰხედა...

ერიჰაა! . კარგი ჩრდილი გიპოვიათ! დაუყვირა ახალგაზდებს იმათკენ მიმავალმა ქრისტეფორემ... ახალგაზდანი წამოხტნენ... ფილიპამ მკლავში ხელი გაუყარა კლოდსა და ორივენი მხიარულად გაეშურნენ ქრისტეფორესკენ.

— რა მახარიან! წასჩურჩულა ფილიპამ, რომ მეგობარი მყევხარ!.. სწორედ შემეზიზღებოდი, რომ მართლა გყვარებოდი. ეხლა რაკი ვიცი, რომ გეჯავრები, ვერ წარმოიდგენ, როგორ შემიყვარდი...

ყმაწვილის ქალის მკლავის სითბომ კლოდს სისხლი აუმღვრია და თავდაივიწყებით ჩასჩურჩულა ფილიპას.

— მართლა რომ სასაცილოა, ასეთი მშვენიერი ხარ და არ მიყვარხარ-კი... ფილიპამ კოპწიად შეჰხედა და თითის ქნევით უთხრა:

— არშიყობის ნება არა გაქვს, კლოდ! ნუ გავიწყდება, რომ ჩვენ მეგობრები უნდა ვიყვნეთ და არა ცოლქმარნი.

(დასასრული იქნება)

ჯავს სასულიერო ფულს, რომ, რაც ვალი აქვს ბოლგარიამ, 30 მილიონ მანეთამდე, მხოლოდ რკინის-გზების კეთებას მოახმაროს. რაც შეეხება ბოლგარიის ყოფას პოლიტიკურად, ამაზე გლადსტონს უთქვამს, რომ ბოლგარია იძულებულია დაიცვას თავისი დამოუკიდებლობა და ამით აიხსნება, თუ რამ უსიამოვნება მიაყენა რუსეთსაო; ბოლგარია უკეთესი ჩარიხაა, რომელიც გაიდო ოსმალეთსა და რუსეთს შორისაო; დღეის იქით რუსეთისთვის ძნელია სტამბოლზე გალაშქრება, თუ წინდაწინვე ბოლგარიის ერისაგან ამისი დასტური არ აიღესო.

— ირლანდიის დეპუტატები, ო'ბრიენი და დილლონი ამ ჟამად ჩრდილო-ამერიკის შტატებში არიან და სცდილობენ თანაგრძნობა მოუპოვონ იქ ირლანდიის საქმეს. ნიუ-იორკში მათის ადრესი მიურთმევიათ, ხელ-მოწერილი ნიუ-იორკის გუბერნატორისა და ქალაქის თავის-მიერ. ადრესში სწერია, რომ დიდად თანავუგრძნობთ ირლანდიასა და ვისურვებთ, რომ გაიმარჯვოს და დაიმკვიდროს თავისუფლება და თვითმმართველობაო.

— გლადსტონს ერთ-ერთს თავის სიტყვაში სრული ანდერძი აუგია მაკ-კინლის წინადადებით შემოღებულის დიდის ბაჟებისათვის. მაკ-კინლის კანონი დრაკონის კანონსა ჰგავსო. პოლიტიკა პროტექციონობისა და დიდის ბაჟებისა თავის-მოკვლის პოლიტიკაა ქვეყნისათვისაო. უიმისოდაც ქვეყნები ერთმანეთს გადაჰკიდებიან თუ ეროვნობისა და თუ სარწმუნოების მიზეზებითა და ამას კიდევ ემატება სხვა მიზეზი გადაკიდებისა და მძულვარებისაო, მიზეზი, რომელიც გამოწვეულია სიხარბითა და სწრაფად გამდიდრების სურვილითაო. ამბობენ, რომ აი ჩრდილო-ამერიკის შტატებში მფარველობას უწევენ შინაურს მრეწველობასა და ეს გარემოება არაფრით ზარალს არ აძლევს ამ ქვეყანასაო. მართალია, ამერიკის ფინანსები მალიან კარგს მდგომარეობაშია, მთავრობამ არც კი იცის, რა უყოს იმ აუარებელს ფულს, რომელიც ხაზინაში აქვს მოქუჩებული და რომელიც ხარჯს გარდა რჩება, მაგრამ განა ამითი რა შეღავათი აქვს მდაბიო მუშა ხალხსაო. დიდის ბაჟების გამო უცხოეთიდამ შემოტანილს საქონელზე, ამერიკის შტატების მკვიდრნი იძულებულნი არიან იოლად წავიდნენ შინაურის სავაჭროთიო. აი ამ სახით ჩნდება მთელი დასი მდიდარ მრეწველთა და ვაჭართა და მით უფრო ძლიერდება დიდ-პატარობა და უთანასწორობა საზოგადოებაშიო. პროტექციონობის პოლიტიკა, მართალია, სასიამო ფულის პატრონთათვის, მრეწველთა, ვაჭართა და ხანდახან, ასე გასინჯეთ, თვით ხაზინისთვისაც, მაგრამ საზარალოა და მავნებელი ერის სიმდიდრისათვის. მაგ პოლიტიკას მოსდევს სიღატაკე ერის უმრავლესობისა და გაძლიერება სოციალიზმისაო. უნდა ვსთქვათ, რომ ახლა თვით ჩრდილო-ამერიკელნიც დიდად ეწინააღმდეგებიან მაკ-კინლის რჩევით შემოღებულს ბაჟებს. წინააღმდეგობა თვისი ამერიკელებმა იმით გამოაცხადეს, რომ 23 ოქტომბერს, როცა დანიშნული იყო არჩევანები პალატის წარმომადგენელთა, აირჩიეს მთავრობის მოწინააღმდეგე დასის კაცნი—დემოკრატები და არა ლიბერალები. დარჩა კიდევ არჩევანები სენატისა და რესპუბლიკის პრეზიდენტისა, რომელიც ორს წელს შემდეგ იქნება. თუ მაშინაც გაიმარჯვეს დემოკრატებმა, მაშინ დადგება მაკ-კინლის კანონისათვის დღე აღსასრულისა. მანამდე-კი დიდი ბაჟები ისევ დარჩება და შეაწუხებს თვით ჩრდილო-ამერიკასაცა და ევროპასაც.

## დეპეშა

1 ნოემბერი

**პეტერბურგი.** გუშინ შესდგა სადღესასწაულო კრება თავისუფალი ეკონომიურის საზოგადოებისა, რადგან საზოგადოებას შეუსრულდა 125 წელიწადი დაარსებიდან. თესლეულობის და გამხმარის ხილეულობის გამოფენის დათვალიერების შემდეგ წაკითხულ იქმნა მილოცვა სხვა-და-სხვა საზოგადოებისა. სხვათა შორის მოხსენდა კრებას ნოვოროსიის უნივერსიტეტის პროფესორის კოზლოვსკის რეფერატი, რომელშიაც მეცნიერი უჩვენებს, საჭიროა განუწყვეტლივ ვადევნებდეთ თვალყურს მარტო ატმოსფერის ცვლილებას-კი არაო, არამედ ნიადაგსაც და მთლად მეურნეობის საქმესაცაო.

„Journal de St.-Pétersbourg“-ი აღნიშნავს რა მარკიზ სალისბერის სიტყვას, ამბობს, რომ მინისტრის სიტყვა, მემკვიდრე ცესარევიჩის მოგზაურობის გამო ინდოეთში, დიდის თანაგრძნობით იქმნება მიღებული რუსეთში.

**ათინა.** აქაური საფრანგეთის ელჩი, გრაფი მონტოლონი, კვირას გამართავს ბალს, რომელსაც დაესწრება მემკვიდრე ცესარევიჩი და საბერძნეთის სამეფო გვარი.

**ბერლინი.** გუშინ თეთრ დარბაზში გაიხსნა პრუსიის სეიმი. იმპერატორმა ვილჰელმა წაიკითხა სეფე სიტყვა, რომელშიაც იყო გამოცხადებული, რომ განხილული იქნება კანონი ხარჯის გადების შეცვლაზე, სოფლის საზოგადოებათა უკეთეს მოწყობის და სახალხო სკოლების გამართვის შესახებ. იმპერატორმა განაცხადა, რომ გერმანია ყველა სახელმწიფოსთან მეგობრულ განწყობაშია და რომ მომავალში მშვიდობიანობას საფრთხე არა მოელის-რაო.

ექიმი კოხის გამოკვლევანი შესახებ ჭლექის მორჩენისა ისე თვალსაჩინოა, რომ მოსალოდნელია საცდელი სტანციის დაარსება. საყურადღებო შენიშვნანი უნდა გაეგზავნოს კოხს-კი არა, არამედ იმის ასისენტს ექიმს კორნეტს, ან ჰოფმეიერს, რომელიც მსახურობს იმპერიის სანიტარულ უწყებაში.

**ათინა.** მემკვიდრე ცესარევიჩი აქ მოვიდა ნაშუადღევის ექვსის საათის ნახევარზე. სრულიად სამეფო გვარი და დიდი მთავარი პავლე ალექსანდრეს ძე მიეგებნენ ცესარევიჩს პირეიში. მინისტრები, ელჩები და მოხელენი ელოდნენ მათს უმაღლესობას ათინის ვაგზალზედ. ხალხმა აღტაცებით მიიღო მემკვიდრე ცესარევიჩი.

**პეტერბურგი.** უმრავლესი მოგებანი სათავად-აზნაურო ბანკის მომგებიანი ბილეთებისა:

| №№ სერიისა. | №№ ბილეთ. | მოგება |
|---|---|---|
| 6457 | 29 | 200,000 |
| 13139 | 22 | 75,000 |
| 9933 | 42 | 45,000 |
| 9367 | 29 | 25,000 |
| 521 | 1 | 10,000 |
| 7257 | 45 | 10,000 |
| 15311 | 26 | 10,000 |
| 1540 | 47 | 8,000 |
| 8283 | 50 | 8,000 |
| 7243 | 25 | 8,000 |
| 10898 | 28 | 8,000 |
| 10231 | 42 | 8,000 |
| 7627 | 17 | 5,000 |
| 14556 | 29 | 5,000 |
| 13815 | 22 | 5,000 |
| 10880 | 47 | 5,000 |
| 4962 | 16 | 5,000 |
| 727 | 45 | 5,000 |
| 10665 | 13 | 5,000 |
| 5239 | 30 | 5,000 |
| 6430 | 36 | 1,000 |
| 6689 | 23 | 1,000 |
| 10464 | 26 | 1,000 |
| 6434 | 18 | 1,000 |
| 8087 | 50 | 1,000 |
| 8591 | 11 | 1,000 |
| 15258 | 18 | 1,000 |
| 10536 | 9 | 1,000 |
| 13475 | 43 | 1,000 |
| 14033 | 10 | 1,000 |
| 10840 | 6 | 1,000 |
| 8445 | 13 | 1,000 |
| 11533 | 27 | 1,000 |
| 11723 | 36 | 1,000 |
| 4261 | 23 | 1,000 |
| 10063 | 37 | 1,000 |
| 10724 | 32 | 1,000 |
| 2856 | 33 | 1,000 |
| 9791 | 46 | 1,000 |
| 12915 | 12 | 1,000 |

**პეტერბურგის ბირჟა, 30 ოქტომ.**

| | მყიდველისა. მან. კ. | გამყიდველისა. მან. კ. | გარიგებისა. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — „ | — „ | 6 63 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | — „ | 132 |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — „ | 1 10 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | $212\frac{3}{4}$ |
| —მეორისა | — „ | $210\frac{1}{2}$ | — |
| —მესამისა | — „ | — „ | $213\frac{3}{4}$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |


## განცხადებანი

1891 წ.

### კედლის

ქართული კალენდარი

შედგენილი გრ. ჩარკვიანის მიერ

და

გამოცემული „წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისაგან“.

ისყიდება საკუთარს წიგნის მაღაზიაში (დორის-მელიქოვის ქ. ს. ზუბალოვისა).

ფასი 40 კაპ.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას მოუვიდა მესამე და უკანასკნელი ნაწილი:

ქართული-რუსული

### ლექსიკონი

დ. ჩუბინაშვილისა

ფასი 2 მან.

რული ლექსიკონი, ე. ი. სამივე ნაწილი ერთად ღირს 8 მან.

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

### პატარა კახი

ისტორიული ხუთ-მოქმედებიანი დრამა ლექსად

აკაკისა

ფასი 50 კაპ.

გორში მცხოვრებელი თეიმურაზ ზაქარიას ძე კაპანაძე, გულითადი პატივის-მცემელი განსვენებულის თავადის დავით გიორგის ძის ერისთავისა, უმორჩილესად სთხოვს ნათესავთ, ნაცნობთ, მეგობართ და პატივის მცემელთა თ. დ. გ. ერისთავისას, რათა მობრძანდნენ კვირას, გიორგობისთვის 4, წირვების შემდეგ, გორის საკრებულო (სობოროს) ეკლესიაში ახლად განსვენებულის თავადის დავით გიორგის ძის ერისთავის მოსახსენებლად პანაშვიდის გარდახდელად. (3—2)

## კბილი აღარავის წამოსტკივდება

თუ იხმარებენ

ღირსთა მამათა ბენედიქტელთა გამოგონილს ელიქსირს

სულიაკის სააბატოში (GIRONDE)

ეს ელიქსირი გამოგონილია 1373 წ. პრიორის პეტრე ბურსოს მიერ

და ოქროს მედლებით დაჯილდოებული

ბრიუსელში 1880 წ. და ლონდონში 1884 წ.



ყოველ დღე ამ ელიქსირის ხმარებით ადამიანს კბილები გნახვება გაფუჭებისაგან, უთეთრდება, ღრძილები უმაგრდება და პირში საუცხოვო გემო ეძლევა.

ჩვენ მართლაც-და სასიამოვნოს ვუწევთ ჩვენს მკითხველებს, თუ იმის ყურადღებას ამ სასარგებლო წამალზედ მივაქცევთ, კბილის ტკივილის ამ საუკეთესო საშუალებაზედ.

ამ ელიქსირს გარდა, მამა ბენედიქტელნი აკეთებენ აგრეთვე კბილის საწმენდს ფხვნილსა.

ეს წამლები და აგრეთვე ელიქსირი ყველა დიდს აფთიაქსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში შეუძლიან მსურველმა იყიდოს.

უმთავრესი აგენტი: Séguin, Bordeaux, rue Croix de Ségucy.

(208—56)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

## დედა ენა და ბუნების კარი

გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მეშვიდე. ფასი **ექვსი შაური.**

ვინც ერთბაშად **ნაღდს ფულზე** იყიდის ოც-და-ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა **ხუთ შაურად.**

ყდისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება **ორი შაური.** ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყდიანს „დედა ენას“ წაიღებს, თითო წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ **რვა კაპეიკი.**

„ბუნების კარი“, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი **თხუთმეტი შაური.**

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალს, წიგნი დაეთმობა **თოთხმეტ შაურად**, ვინც ოცსა—ცამეტ შაურად და ვინც ოც-და-ათს—**სამ აბაზად.** ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ **სამი შაური.**

ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი **ხარჯი** თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности. Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

## გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“ და „ქართულ წიგნების გამომცემ ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნაკი:

### ქუთაისის ბანკის საქმე.

წერილები

ილია ჭავჭავაძისა.

გამოცემა ქუთათელისა.

ფასი ერთი შაური.

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

## „ისტორიული ნარკვევი“

ანუ

ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის

შედგენ. ალ. ჭყონიას მიერ

ფასი 1 მან. 50 კაპ.

ქალაქს გარეთ ისყიდება: გორში—ირაკლი რამიშვილთან, ოზურგეთში—თავართქილაძესთან, ქუთაისში—წიგნის მაღაზიებში ჭილაძეებისა და წერეთლებისაში და ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან.


Доз. цен. Тифлисъ, 1-го Ноября 1890 г. Типо-Литографія F. I. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე